განაცხადი

2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ცაგერის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობა.

დაიგეგმა და განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროექტი მოძრავი კინო თეატრი, რომელიც მიზნად ისახავდა მუნციიპალიტეტის ახალგაზრდობას შორის კავშირების აღდგენას, თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციას, კულტურული ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტის სოფლების ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობას.

2. **თემატიკა:**
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

პროექტის ,,მოძრავი კინოთეატრის" ფარგლებში ქალაქ ცაგერის და მუნიციპალიტეტის სოფლების ახალგაზრდობისათვის კინოჩვენების ორგანიზება.

პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:
(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

პრაქტიკის (ინიციატორის ავტორი), ინიციატორი: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია, მერის პირველი მოადგილე მერის მოვალეობის შემსრულებელი ალუდა თუთისანი, ტელ: 551 090431 ელ.ფოსტა: info.cageri@gmail.com

3. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ცაგერის მუნიციპალიტეტი საქართველოს ტერიტორიული ადმინიცტრაციული მოწყობის მიხედვით რაჭა- ლეჩხუმ- ქვემო სვანეთის რეგიონს განეკუთვნება, რომლის ფართობი 775კვ/კმ შეადგენს, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ლენტეხის, აღმოსავლეთიდან ამბროლაურის, სამხრეთიდან წყალტუბოს, დასავლეთიდან ხონის და მარტვილის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტებში შედის ქ. ცაგერი და 18 ადმინისტარციული ტერიტორიული ერთეული 58 სოფლით.

2014 წლის აღწერის მიხედვით მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობა 10 387 შეადგენს. დღეის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს 14 დან 29 წლის ჩათვლით 1100-მდე ახალგაზრდა, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლე-ახალგაზრდობას, სტუდენტებს,

სოფლის მეურნეობაში მცირე ბიზნესა და საჯარო სექტორში დასაქმებულ ახალგაზრდობას. არსებული დემოგრაფიული ვითარების პირობებში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და მათთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა - ურთიერთობების, კავშირების აღდგენის და მათი შემდგომი განმტკიცებისათვის.

4. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:**
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;

  მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების და ახლგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური ყოველწლიურად ანხორციელებს პროექტს ახალგაზრდებს შორის კავშირების აღდგენის და განვითარების შესახებ, რომელიც მოიცავს სხვადასხვა შემეცნებით, კულტურულ და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ღონისძიებებს. ახალგაზრდობის გამოკითხვა სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, თამბაქოს საწინააღმდეგო აქციები, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა მასობრივ კულტურულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჰქმნის პირობებს ახალგაზრდობის გააქტიურების და საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ: საჯარო მოხელეთა კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ

საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის

განხორციელებაზე;

  მიუხედავთ მიგრაციული პროცესებისა და რეგიონიდან ახალგაზრდობის გადინებისა ზაფხულის პერიოდში ცაგერის მუნციპალიტეტში გაზრდილი ტურისტული ნაკადების დამსვენებლების რაოდენობის ზრდის ფონზე მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობის რაოდენობა თითქმის ორმაგდება, ამ მხრივ განსაკუთრებით დატვირთვა მოდის ლეჩხუმის ძირითად ტურისტულ ლოკაციებზე, ხვამლის მთა, მწვანე ტბა, ლაილაშის ღირშესანიშნაობები, (სინაგოგა, სომხური ეკლესიის ნანგრევი, წმ. გიორგის ეკლესია, ბულვარი და ოქრონიშის წყარო,) მურის და გვესოს ციხეთა კომპლექსები, მწვანე თეატრი. ამასთან გვიან შემოდგომის ზამთრის და ადრე გაზაფხულის პერიოდი მუნიციპალიტეტში ხასიათდება პასიური კულტურული ცხოვრებით, რაც

ზრდის საჭიროებას ახალგაზრდობის სალონურ ღონისძიებებში ჩართვისათვის ეს ქმნის ხელსაყრელ პირობებს, მოძრავი კინოთეატრის აქტიური და ეფექტური მუშაობისათვის.

5. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

ახალგაზრდობის მიმართულებით მთავარ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ახალგაზრდობას შორის კავშირების არ არსებობა, თავისუფალი დროის რაციონალურად და შინაარსიანად გამოყენების დეფიციტი. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ხედვებიდან გამომდინარე შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ახალგაზრდობას შორის კავშირების აღდგენისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების პროგრამა, რომლის ერთ-ერთი ძირითად მიმართულებად დაისახა მოძრავი კინოთეატრის იდეის განხორციელება, მუნიციპალიტეტის ცენტრში და სოფლებში კინოჩვენებების საფეხბურთო და სარაგბო საერთაშორისო მატჩების ღია ჩვენებების ორგანიზება, რაშიდაც ჩართული იყო მერია, საკრებულო, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრი.

- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;

წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში შეზღუდული პროგრამით ხდებოდა კინოჩვენების, საფეხბურთო და სარაგბო საერთაშორისო მატჩების ღია ჩვენება ძირითადათ დაქირავებული აპარატურის მეშვეობით.

არსებული მდგომარეობის დაძლევა შესაძლებებილი გახდა გაეროს განვითარების პროექტის დახმარებით, რომლის მეშვეობით მუნციპალიტეტს საჩუქრად გადაეცა მოძრავი კინოთეატრის აპარატურა ღირებულებით 5000 (ხუთიათასი) ლარი.

რითაც შესაძლებელი გახდა საქმიანობა გამხდარიყო სისტემატიური და გაზრდილიყო ახალგაზრდობის ჩართულობა.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი;

გაეროს განვითარების პროექტის მხარდაჭრით და მუნციპალიტეტის დახმარებით შესაძლებელი გახდა ,,მოძრავი კინოთეატრის" ამოქმედება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ქ. ცაგერსა და სოფლებში, 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის პერიოდში სულ ჩატარებული იქნა 70 - ზე მეტი კინო ჩვენება, საფეხბურთო და სარაგბო საერთაშორისო მატჩების ღია ჩვენებები, რომელზედაც მოზიდული იქნა სხვადასხვა ასაკის 1000 - ათასზე მეტი ახალგაზრდა.

,,მოძრავი კინოთეატრის" ჯგუფის ტრანსპორტირებას ახორციელებს ცაგერის მუნციპალიტეტის მერია.

6. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

მოძრავი კინოთეატრის პროექტის განხორციელებამ გამოიწვია ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით. მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლის ახალგაზრდობის გააქტიურება, გადაიდგა ნაბიჯი წინ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ახალგაზრდობას შორის კავშირების აღდგენის კუთხით, უფრო საინტერესო და სახალისო გახდა მათი ყოველდღიური ყოფა.

აღნიშნულისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით დაგეგმილმა პროექტმა დადებითი გავლენა იქონია ახალგაზრდობის მიმართულებით გათვალისწინებული საქმიანობის შედეგზე.

- **პროექტის შინაარსი;**
  დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის სოფლები და ქ. ცაგერი ხასიათდება ახალგაზრდობის გადინების მაღალი მაჩვენებლით. ამ ფონზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისათვის კულტურული-საგანმანათლებლო პირობების გაუმჯობესება. ახალგაზრდობას შორის კავშირ ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება. ,,მოძრავი კინოთეატრის" პროექტი იძლევა საშუალებას კინოჩვენებების, საერთაშორისო, საფეხბურთო და სარაგბო მატჩების ღია ჩვენებების მეშვეობით მოახდინოს ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორი ორგანიზაცია. აღნიშნულისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით დაგეგმილმა პროექტმა დადებითი· გავლენა მოახდინა ახალგაზრდობის გააქტიურებაზე და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობაზე. პროექტმა განსაკუთრებით პოზიტიური შედეგები აჩვენა ზაფხულის პერიოდში, როცა მუნიციპალიტეტში შემოსული ვიზიტორების ზრდის გამო ახალგაზრდობის რიცხოვნობა თითქმის ორმაგდება.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);
  პროექტის საქმიანობის გეგმა დანართი N1
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;*

  მერის მიერ დამტკიცებული განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის პროექტი ცაგერის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობას შორის კავშირების აღდგენისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობის კუთხით 2022 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. სადაც გათვალისწინებულია მოძრავი კინოთეატრის ხარჯები, რომელიც ხმარდება შესაბამისი ჯგუფის სოფლებში

ტრანსპორტირებას. აღნიშნული პროექტი იგეგმება განხორციელდეს 2023-2024 წლებშიდაც.

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

  მოძრავი კინოთეატრის ღონისძიებებში ჩართულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ფართო ფენები, ახალგაზრდობის, ქალთა და ბავშვთა წარმომადგენელთა ჩართულობით. მოძრავი კინოთეატრის პროექტს მხარს უჭერენ როგორც საჯარო დაწესებულების ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;

  საკუთარი

  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;

  მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

  მერიის საკუთრებაში არსებული ტექნიკური საშუალებები

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

  პროექტის განხორციელების დროს გამოიკვეთა პრობლემები კინოჩვენებების შერჩევისათვის ფილმების შერჩევის კუთხით, ამ მიმართულებით პრიორიტეტი მიენიჭა ახალგაზრდობიდან წამოსულ აზრს კონკრეტული ფილმების თაობაზე. ლოჯისტიკური პრობლემების გამო კინოჩვენებები დაიგეგმა და ჩატარდა სოფლად ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე საჯარო სკოლის შენობებსა და სკოლის ეზოებში.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  პროექტის დაგეგმვა და განხორციელება მოხდა საქართველოში გაეროს განვითარების პროექტის ფარგლებში. ადგილებზე კინოჩვენებების ორგანიზება მოხდა მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრის ჩართულობით და თემებში მერის წარმომადგენლების საკრებულოს წევრების, სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელების მხარდაჭერით.

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

7. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

,,მოძრავი კინოთეატრის“ განხორციელებამ გამოიწვია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ჩართულობის და აქტიურობის გაზრდა.

სულ ჩატარებული იქნა 70 - კინო ჩვენება ქ. ცაგერში და მუნიციპალიტეტის 35 - ზე მეტ სოფელში, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდობას შორის კავშირების გაძლიერებას, კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

- მოეწყო ანიმაციური ფილმების კვირეული ბავშვებისათის.
- ჩატარდა ზაფხულის პერიოდში კინოჩვენების სერია ქართული და უცხოური ფილმების ჩვენებებით. შემოდგომაზე მოეწყო ქართული კინოს დღეები და სხვა მთლიანად ჩატარებულ ღონისძიებებში მოზიდული იქნა მრავალ ასეულობით მოზარდი და ახლგაზრდა.

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

გაწეულმა გარკვეულმა მუშაობამ მოგვცა გამოცდილება და შესაბამისი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ კინოჩვენებების თემატიკა შერჩეული უნდა იყოს ახალგაზრდობის აზრის გათვალისწინებით, კერძოდ სასურველია ნაჩვენები იყოს ის ფილმი, რომელიც სურს მათ.

პროექტი განსაკუთრებით წარმატებულია იმ დასახლებებში, რომლებიც მოკლებული არიან აქტიურ კულტურულ ცხოვრებას, გაწეული საქმიანობა გვაძლევს საფუძველს რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება კვლავაც უნდა გაგრძელდეს, მომავალში კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს პროექტის განხორციელების ფორმები და მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შშმ პირების ჩართულობის გაზრდას კინოჩვენებების პროცესში.

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

  პროექტის განხორციელების დროს სწორად შერჩეული თემატიკა და ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა.

- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;

- პროექტის მიმდინარეობის დროს უზრუნველყოფილი იქნება გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრის გარანტია.

  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული ცვლილება;

- ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული პროექტის ,,მოძრავი კინოთეატრის“ მუშა ჯგუფის ტრანსპორტირების და სხვა აუცილებელ ხარჯებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

- ადგილობრივი მოსახლეობის, ახალგაზრობის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა პროექტის წარმატებული და უსაფრთხო განხორციელება.

დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

- პროექტის განხორციელება შეტანილია მომავალი წლის მერიის ახალგაზრდობის კავშირების აღდგენის და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობის პროგრამაში, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ხარჯები.

9. **საკრებულოს როლი:**

- პროექტის დაგეგმვის, განხორციელების შედეგების შეფასების საკითხში იყო საკრებულოს წევრთა აქტიური მონაწილეობა.
- ასევე მნიშვნელოვანია საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის შერჩევის საკითხში საკრებულოს წევრთა აქტიური მხარდაჭერის შესახებ.
- უახლოეს საკრებულოს სხდომაზე იგეგმება 2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე ,,მოძრავი კინოთეატრის" პროექტის მოწონების საკითხის განხილვა.

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდებულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

10. **პრატიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

- მომავალში მუნიციპალიტეტში პროექტის ,,მოძრავი კინოთეატრი" შემდგომი დახვეწის და განვითარებისათვის დაგეგმილი გვაქვს ზამთრის პერიოდში ქ. ცაგერში კინოჩვენებების მიზნით მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ყოველკვირეულად ჩატარდეს 2-3 კინოჩვენება. რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის გამოცდილებას და ჯანსაღი ცხოვრების რიტმის შენარჩუნებას.
- ადრე გაზაფხულზე ჩატარდება ანიმაციური ფილმების კვირეული ბავშვებისათვის, რომლის პროგრამით კინოჩვენებები მოეწყობა სკოლამდელი დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი კლასის ბავშვებისათვის.

- მომავალი წლის ზაფხულის პერიოდში ვგეგმავთ კონოჩვენებების სერიას მუნიციპალიტეტის სოფლებში ღია ცის ქვეშ, ასევე კინოჩვენებების ჩატარებას ვგეგმავთ მუნიციპალიტეტის ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში მწვანე ტბა, მწვანე თეატრი, ლაილაშის ბულვარი, კურორტი ლაშიჭალა, ქ. ცაგერში კეჭნარის/ ლადო ასათიანის სკვერები და ა. შ.
- ვგეგმავთ ქართული კინოს დღეების ორგანიზებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ორგანიზაციებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში.

11. საკონტაქტო ინფორმაცია:

განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირების მონაცემები:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა)
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მერის მოვალეობის შემსრულებელი - ალუდა თუთიასანი მობ: 551 09 04 31**

  ელ.ფოსტა: info.cageri@gmail.com
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

- **მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი - გიორგი კვირიკაშვილი მობ: 595 51 25 31 ელ. ფოსტა:** gogi.kvirikashvili@gmail.com
- **ლანა ლეთოდიანი - სამსახურის III რანგის უფროსი სპეციალისტი მობ: 591 70 88 10 ელ ფოსტა:** letodianilana@gmail.com
- **სალომე ლეთოდიანი - სამსახურის III რანგის უფროსი სპეციალისტი მობ: 591 708 740 . ელ. ფოსტა:** salomeletodiani@gmail.com
- **ნონა სილაგაძე - სამსახურის III რანგის უფროსი სპეციალისტი მობ: 591 63 30 80. ელ ფოსტა:** silagadzenona88@gmail.com
- **მამუკა ჩიქოვანი ა(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი. მობ: 591 908 830.**

12. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;
გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

- პროექტის მოწონების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება;
- პროექტი ცაგერის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობას შორის კავშირების აღდგენისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობის კუთხით 2022 წლის პერიოდში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

მერის მოვალეობის შემსრულებელი: ს. თუთიასანი /ს.თუთიასანი/

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 20 ოქტომბერი- 28 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ, ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* შენიშვნა: განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge